№ 272 დეკემბერი 21, ხუთშაბათი 1889 დეკემბერი 21, ხუთშაბათი № 272

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ქვლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889


1890 წ. იანვრის თვიდან

ქ. ტფილისში

გამოიცემა, ორ თვეში ერთხელ, საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

## „ჯეჯილი“

წელიწადში გამოვა სულ 6 წიგნი და თითო წიგნში იქნება ოთხიდამ ხუთამდე ნაბეჭდი თაბახი, ანუ 64—80 მდევვერდი დიდის ფორმატისა.

„ჯეჯილში“ დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობისა და შესანიშნავ კაცთა ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშვო სათამაშონი და საარჯიშონი, სამათემატიკო ამოცანები, იგავები, ანდაზები, ამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ჟურნალში მონაწილეობის მიღება აღგვითქვეს ყველა ჩვენმა საუკეთესო პოეტებმა და მწერლებმა.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ეღირება—3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი იქნება 60 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით და მიიღება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 102) და თვით «ჯეჯილის» რედაქციაში (Барятинская ул., д. № 8).

2) ქუთაისში—ეკ. ნიკოლაძისას.

3) გორში—ეკ. ფურცელაძისას.

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

რედაქტორი გამომცემელი ან. თუმანიშვილისა



გამოვიდა და ისყიდება

## საქართველოს კალენდარი

1890 წლისათვის,

შედგენილი და გამოცემული ვალ. გუნიას მიერ.

ფასი ათი შაური

ვინც ნაღდ ფულად იყიდის 50 კალს, იმას დაეთმობა მანეთზე ხუთი შაური.

შეიძლება მიჰმართონ «წერა-კითხვის საზოგადოებას» და ტერ-სარქისოვის მაღაზიას, სასახლის ქუჩაზე, ლალაევის სახლში.


## ახალი ამბავი

*** ოცს ამ დეკემბერს დანიშნული იყო ქუთაისის სათავად აზნაურო ბანკისაგან საჯარო გასასყიდად ხუთი მამული ტფილისის გუბერნიისა და რადგანაც ამ მამულების პატრონებს შესატანი ფული გასყიდვამდე შეუტანიათ, საჯარო გასყიდვა გაუქმებულა.

*** ე. ზიალოვის სახლები, რომლის დაგირავების გამო სხვა და-სხვა ბანკებში ამოდენა მითქმა-მოთქმა და ჰბაღა, არა ყოფილა დაგირავებული პრიკაზში, რადგანაც პრიკაზის ვალი საკრედიტო საზოგადოებას მოუშორებია, როცა ე. ზიალოვს მამული დაუგირავებია.

*** ხვალ, 22 დეკემბერს, ბანკის თეატრში დანიშნულია ქართულ-რუსული წარმოდგენა წინამძღვარიანთკარის სამეურნეო სკოლის სასარგებლოდ. ქართულს წარმოდგენაში ჩვენი სათეატრო დასი მიიღებს მონაწილეობას, ხოლო ფორკატის დასი ამავ საღამოს წარმოადგენს ოპერეტს. იმედი უნდა ვიქონიოთ, ამ წარმოდგენას დიდ-ძალი ხალხი დაესწრება და შემწეობას აღმოუჩენს სკოლის დამაარსებელს, რომელიც ისე მოულოდნელად დააზარალა ცეცხლმა.

*** ტფილისის სამეურნეო სკოლაში შარშან სწავლობდა 49 მოწაფე, რომელთაგან 22 იყო ქართველია მათ შორის 5 თავადი, 8 აზნაური და დანარჩენი სასულიერო წოდებისანი და გლეხნი. ამავე წლის განმავლობაში სკოლის შესანახავად შემოვიდა 15,952 მ. და 36 კაპ., ხოლო დაიხარჯა 15,807 მან. და 22 კაპ. იმავე წლის განმავლობაში სკოლას გაუყიდნია თავისი ნაწარმოები 2,333 მან. და 84 კაპ.

*** ბარის ოსეთი: თითქმის ეს ორი-სამი კვირა არის, ბარის-ოსებში ერთი არა-ჩვეულებრივი უცხო ავადმყოფობა მოედო ხალხს: წინა პირველად ადამიანს ასტკივა თავი, მერე მოჰყვება თვალის კაკლების ტკივილი, ისე რომ ავადმყოფს ჰგონია, გადმომცვივიანო, შემდეგ ცოტა ჟრუანტელს აწყებინებს ადამიანს, აძლევს სიცხეს და საფეთქლებიც სტეხავს, უჭერს გულზედ, ახველებს და სხვა სახსრების ტკივილი აქვს. ამ ნაირად ავადმყოფი სამ დღე-ღამეს ასე ავად არის და მადა არაფრისა აქვს. სამის დღის შემდეგ თავის ტკივილი ცოტათი უამდება, სიცხე უნელდება, თვალის კაკლებიც უამდება, მაგრამ ერთ კვირამდე ვერა დგება ფეხზე. სანამ გახშირდებოდა ეს ავადმყოფობა, მიზეზად იმას იძახდნენ, რომ ღუმელისაგან მოგვდისო, მაგრამ როცა გახშირდა, მაშინ-კი მიხვდნენ, რომ რაღაც უცხო სენია. ეს უცხო სენი აქამდის ხალხს არ აზარალებდა და ეხლა-კი მიჰყო ხელი. დღე არ გავა, რომ ორი-სამი მიცვალებული არ იყოს თითო სოფელში. ესევე სენი მძვინვარებს კავკავშიაც.

*** სოფ. გალავანი (დუშეთის მაზრა): კარგა ხანია, რაც ჩვენს ხეობაში გაჩნდა საქონლის ჭირი, რომელიც დიდს ზარალს აძლევს ხალხს. ამ ბოლოს დროს გაჩნდა აგრეთვე რაღაც ავადმყოფობა, რომელსაც ინფლუენციად მიაჩნიათ. უექიმობისა და უწამლობის გამო ხალხი ფრიად შეწუხებულია. პური მეტად დაძვირდა. კოდი ხორბალი იყიდება 3 მან. და 60 კაპ., კოდი სიმინდი 12 აბაზად, ღვინის საპალნე 80—90 მანათად.

*** რუსეთის გაზეთი „Пет. Вѣд.“ იუწყება, რომ მომავალ პირველ იანვრიდამ ახალი ფასები დაინიშნება საბაჟოში (таможня) შესატან ვერცხლისა და ქაღალდის ფულზე, რადგანაცაო, ამბობს გაზეთი, ჩვენის მანეთის ფასი თანდათან ჰმატულობსო, ესე იგი ქაღალდის ფულის კურსი უფრო და უფრო კეთდებაო. ამ ჟამად პირველ სამის თვეისათვის ინიშნება ფასებიო. მაშ იმედია, რომ პირველ მომავალ იანვრიდამ საქონლის საბაჟოში გატარება ცოტად თუ ბევრად გაუიეფდებათ ვაჭრებსა და სოვდაგრებს და საქონლის პატრონებსა, რომელნიც სხვა ქვეყნებიდამ ეზიდებიან საევროპო საქონელს.

*** აქაურ მაჰმადიანთა სასიამოვნოდ იმავ გაზეთიდამ მოგვყავს შემდეგი: ამ ჟამად მაჰმადიანთა შორის გაძლიერებულის ხალისით აგროვებენ ფულებს, რომ პეტერბურგში დიდი მეჩითი ააშენონ. ხმა დადის, ვითომც ამ მეჩითში გადიტანენ იმ წმინდად აღიარებულს ყურანს, რომელსაც ზედ დასხმია სისხლი წინასწარმეტყველის ალიასი და რომელიც დღეს აქამომდე საიმპერატორო ბიბლიოთეკაში იყო შენახული.

*** მერმისს, 15 იანვარს, აკურთხებენ ბათუმის პორტს, რომელიც სულ სხვა ნაირად გადაკეთდა. რაც

## ფელეტონი

### ქართველთა შორის

> საწყალი პატარა შიო.—ყველა არ კაცი სწორია.—ნაჩუქარს ცხენს კბილი არ გაესინჯება.

შეიხედეთ ჩემო, საყვარელო მკითხველო, თუნდა აი აქვე, სულ ორმოციოდე ვერსტის მანძილზე, სოფელ ახალქალაქის აე-კარგიანობაში. ჩვენი რუსული და ქართული გაზეთები იმდენსა ლაპარაკობენ ამ სოფლის ქველ-მოქმედების შესახებ, რომ მგონი ყველამ უნდა იცოდეს, რა ამაგი მიუძღვის ახალქალაქს ამ თერთმეტ თორმეტის წლის განმავლობაში, მით უმეტეს, რომ ქველ-მოქმედება იგი თითქმის მარტო ფულის მოგროვებაში გამოიხატა და ეს ფულიც გროშის გროშამდეა გამოანგარიშებული, რადგან ასეთი ანგარიში არაფითარს სიძნელეს არ წარმოადგენს. სულ რაღაც თვრამეტი თუმანი ცხრა მანათი ოთხმოც-და ცხრამეტი კაპეიკი, ან—ერთი ფული და ბან—ორი ბისტი დადგა. ამ ფულის მოსაკრებად მთელი გორის მაზრა იყო ფეხზე დაყენებული—იმართებოდა თეატრი, ხელის მოწერა და სხვანი. გამგენი თითქმის ყურით მიათრევდნენ ხალხს წარმოდგენებზე და შედეგი მკვიდრფა ქველობისა, როგორც მოგახსენეთ, იყო ან—ერთი ფული და ბან—ორი ბისტი. ამასთანავე როდესაც მოგახსენებთ იმასაც, რომ თვით საქველმოქმედო საქმეს მოხმარდა ამოდენ ნაჭირნახულევისაგან მარტო ან—ერთი ფული და დანარჩენი-კი, ე. ი. ბან—ორი ბისტი, მოიხმარა მარცხენა ხელმა ისე ოსტატურად, რომ ქველობის ნასახსაც ვერ მიაგნებს მარჯვენა ხელი, მაშინ ნათლად წარმოგიდგებათ თვალ-წინ ის საცოდავი ხე ჩვენებურის ქველობისა, რომელსაც ასეთი ჩამომხმარი და ჩამოყვითლებული შტო გადუწვდია ახალქალაქისაკენ.

აბა ამავე დროს შეჰხედეთ, რა ამბავშია ქურდობა იმავ ახალ-ქალაქში. მთელი დრო და მოცალეობა დალონებულის მემატიანე ტიმოთესი არ იქნებოდა საკმარისი, რომ ყველაფერი დღით-დღე ჩაეწერა და არა გამოეპარეოდა რა. ჩვენ მხოლოდ მოგაგონებთ გასაშტერებელ სიას, რომელიც იქითა კვირას გამოგვიგზავნა ჩვენმა მემატიანემ ახალქალაქიდამ და რომელიც შეეხება მხოლოდ ამ უკანასკნელს თთვეებს. აი ეს სიაც:

> თ. თემურაზ თარხანოვს მოჰპარეს ცხენი, ნიკო თარხანოვს მოჰპარეს სამი სული საქონელი, კონა მამასახლისოვს გაუტეხეს სახლი და წაიღეს, რაც-კი მოახელეს, გიგო თარხნიშვილს მოჰპარეს ცხენი, გ. წ—რს მოჰპარეს ხარი, შიო აფხიაურს მოჰპარეს ხარი, პატარა შიოს მოჰპარეს ხარი, აფციაურს მოჰპარეს ცხენი, გოგია შურდულს მოჰპარეს ცხენი, გიგაურს გაუტეხეს სახლი და წაიღეს რაც რამ ებადა—600 მანათის ღირებული, ხეჩუა ავეტიქოვს გაუტეხეს მარანი და წაიღეს, რაც-კი ნახეს, ალექსი მამაცაშვილს გაუტეხეს მარანი და წაიღეს, რაც მოხვდათ; ნაზარ ნაზაროვს გაუტეხეს მარანი და წაიღეს, რაც მოახელეს, ნიკო თარხნიშვილს გაუტეხეს საქათმე, მღებარს გაუტეხეს საქათმე, სოლომონ მამასახლისს მოჰპარეს ძროხა და ხარი, ლევანა გუჯაშვილს მოჰპარეს ცხენი, ვანკა ნერსესოვს მოჰპარეს ცხენი, გიორგა წიკლაურს მოჰპარეს ხარი, შიო ქარიქუსაშვილს მოჰპარეს ხარი, საჯავახოელს გიორგას მოჰპარეს ორი ცხენი. მიხა მაზანაშვილს გაუტეხეს სახლი და გამოუგდეს ხარი. ბოქაულს გამოუცხადეს. ბოქაული გაუჯავრდა: ჩემთან რას მორბიხართ, წადით, დაიჭირეთ ქურდი, მომიყვანეთ და მე გორში წარვადგენო. ოცდა-ორ მარიამობისთვეს ალექსი მამაცაშვილს ქური აუნგრიეს და სახლში ჩავიდნენ. ამ დროს სახლში მარტო ცოლი იყო. ცოლმა გაიგო წინა სახლში, გამოვარდა, კარები გადმორაზა, მამასახლისსა და მეზობლებს შეატყობინა, ყველანი მოგროვდნენ, სახლიდამ გამოიყვანეს ქურდი, ოქმი შეადგინეს და ბოქაულს წარუდგინეს, მაგრამ დღევანდლამდის პასუხი არა ისმის-რა.

უეჭველია, მემატიანე ტიმოთე უფრო სრულს სიას წარმოგვიდგენდა, მაგრამ ჩვენთვის ესეც სამყოფია ჰირადაცა და ლხინადაც. ამ სიიდამა ჰხედავთ, რომ ყველაზე უბედრუკს ყოფაში ის ახალქალაქელი კაცი ყოფილა, რომელსაც-კი სახელად შიო ჰრქმევია. შიო აფხიაურს მოჰპარეს ხარიო, პატარა შიოსაც ხარი მოჰპარეს, არც შიო ქარქუსაშვილი დაივიწყეს და იმასაც ხარი მოჰპარესო. აფხიაური შიო უეჭველია ძალიან უფხო კაცი უნდა იყოს, თორემ ხარს როგორ მოაპარვინებდა ვისმეს. ვერ გაგვიგია, რაღა ქარქუსაშვილ შიოსაც მოჰპარეს. ან კიდევ რაღა ყველა შიოებს ხარები დაჰპარეს! ან რატომ ცხენს არ შეეხნენ, ცხვარსა, კამბეჩს! საწყალი პატარა შიო! იქმნება იმ ერთის ხარის მეტი არც-კი ებადა-რა, იქნება ისეთი უსიტყვო ადამიანია, რომ გინდა თავში ჩააფარო, ხმასაც არ გაგცემს! საწყალი პატარა შიო!.. გვარიც რომ არავინ დაუსახელა: პატარა შიოვო...

**

ჯერ რაღაც ოთხიოდე თთვის მსხვერპლი ქურდობისა უნდა ვიანგარიშოთ არა ან—ერთი ფულითა და ბან—ორი ბისტით, არამედ ჭარსან ხარებში გვჭირდება ჩასვლა, მოდით თქვენ-და გაითვალისწინეთ ის იმოდენა სარჩო-საბადებელი, რომელიც ხელიდამ წასვლიათ ახალ-ქალაქის მცხოვრებთ ამ თორმეტის წლის განმავლობაში, ე. ი. მას აქეთ, რაც ქველობის მკრთალი აზრი პირველად დაიბადა იქაურებში.

რა ახალქალაქი გინდათ, რა ჩვენი დარბაისელი კამბეჩოვანი, ივრისხეობა, მთელი ქართლი, გურია სამეგრელო და სხვანი! ყველგან ჩვენს კურთხეულს ქვეყანაში დიდი წარმატება ეტყობა ყოველ გვარ ავ-ზნეობასა და ავ-კაცობას.

მაგრამ აბა ერთი კიდევ ჩააკვირდით საუცხოვო სიას ახალ-ქალაქის თავისებურ წარმატებისას, წარმოიდგინეთ თვალ-წინ სამი შიო—ერთი ძალიან დიდი შიო, მეორე იმის მომყოლი და მესამეც—საწყალი პატარა შიო და ასე ყველა დარბეული ახალქალაქელი, წარმოიდგინეთ ამოდენა ქონებრივი ზარალი სოფლისა, მოიგონეთ, რომ ზარალს, ქურდობის მიერ მიყენებულს, ეწინააღმდეგება მთავრობა, კანონი, ადმინისტრაცია, ეკკლესია, ზნეობა ადამიანისა, და ყოველსავე ამას შეუთანასწორეთ საკვირველი პასუხი ახალ-ქალაქელის ბოქაულისა—დაიჭით ავაზაკები, მომგვარეთ და მე კიდევ გორში გავგზავნიო. სწორეთ ძრიელ დიდი ხასიათი უნდა ჰქონდეს კაცს, გინდაც ბოქაული იყოს იგი, რომ ამისთანა საქვეყნო უბედურებაში ისე მაგრად შეინახოს გული, ისეთი სამაგალითო სიმტკიცე გამოიჩინოს, რომ წარბიც არ შეიხაროს და ხმის აუკანკალებლივ წარმოსთქვას ზემოდ მოყვანილი მხნე სიტყვები—დაიჭით ავაზაკები, მომგვარეთ და მე კიდევ გორში გავგზავნიო.

იშვიათია კარგი ადმინისტრატორი, ნამეტნავად პოლიციელი, მაგრამ როცა-კი გამოჩნდება სადმე ასეთი მშვენება ქვეყნისა, კაცი ყურებით ვერ გაძღება. სხვა უიმისო ბოქაულს თვალზე ცრემლი მაინც მოერეოდა, გული აუდუღდებოდა, სული აუშფოთდებოდა, როცა მას შესჩივლებდნენ თუნ-

ამ პორტში საქონელი მივა, ან წავა იქიდამ, ფუთზე ერთი კაპიკი ბაჟი დაედება. აქედამ $^{4}/_{5}$ კაპიკისა სახაზინოდ წავა, ხოლო $^{1}/_{5}$ ქალაქის სასარგებლოდ. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ 50 მილიონი ფუთი საქონელი გადის ბათუმიდამ წელიწადში და შემოდის 20 მილიონი, ამ ბაჟიდამ ხაზინას ერგება ყოველ წლივ 580,000 მან., ხოლო ქალაქს—120,000 მან. („С.-Петер. Вѣд.“-ი).

*** იგივე გაზეთი ამბობს, რომ ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს სავაჭრო პორტი ბათუმიდამ ფოთს გადაიტანოსო. ბათუმში დარჩება მხოლოდ ნავთსადგური ნავთის გასატანად საზღვარ-გარედ, ხოლო ფოთში უნდა განახლდეს ის საპორტო მომართულებანი, რომელნიც დღემდე თავ-მინებებული იყო მას აქეთ, რაც ბათუმისკენ რკინის გზა იქმნა გაყვანილიო.

*** გაზ. „Post“-ს სწერენ დეპეშით პეტერბურგიდამ, რომ ხმა არის, ვითომ მთავრობას განზრახვა აქვს მოსპოს ბაჟი ზღვევისა და რკინის გზებზე დაწესებული სახელმწიფო გადასახადიო.

*** 19 დეკემბერს პოლიციის მერვე ნაწილში, ბზების მეიდანზე, სერგეი ზალინოვს მოჰპარეს მაღაზიიდამ სხვა-და-სხვა ფარჩეულობა 800 მანათისა. საქონელი პოლიციამ მტკვრის პირად ნაგავში ჩაფლული იპოვნა. ქურდების აღმოსაჩენად ღონისძიება მიღებულია.

*** 19 დეკემბერს პოლიციის მეათე ნაწილში მოხელე შლეიფერს მოჰპარეს სახლიდამ ზამთრის პალტო და ნაბადი, როცა შესავალი კარი ტალანისა ღია იყო. გუმანი მიიტანეს შლეიფერის წინანდელს მოსამსახურეზე. დანაკარგისა და ქურდის აღმოსაჩენად ღონისძიებაა მიღებული.

## ქართული თეატრი

ჟ უ ლ ი ე ტ ა, კომედია 4 მოქმედ. ფრანგულიდგან.

ა დ ვ ო კ ა ტ ე ბ თ ა ნ, ვოდევილი 1 მოქმედებად.

სამშაბათს, 19 დეკემბერს, ქართულმა დრამატიულმა დასმა ქ-ნ მ. საფაროვის საბენეფისოდ წარმოადგინა ახალი პიესა „ჟულიეტა“. შინაარსი: როჟერ დე-პინუას (ბ-ნი სვიმონიძე) უკანონო კავშირი აქვს პრინცესასთან (ქ-ნი ავალიშვილისა) და ამ კავშირის დასაფარავად ცოლსაც-კი ირთავს, ყმაწვილს ქალს ჟულიეტას (მ. საფაროვისა). პრინცს (ბ-ნი გედევანოვი) ეჭვი აღებული ჰქონდა, ხშირად რად დადის ჩვენსას როჟერიო, და ამ ქორწინებით აუბეს თვალები ვითომ-და პრინცესა შუამავალი იყოო. თითქმის წლის თავზედ წვეულება აქვს როჟერს, სადაც მიწვეულნი არიან პრინცი, პრინცესა და სხვა მეგობრები. ამ დროს ჟულიეტას ბარათს უგზავნის ვიღაც, რომ შენი ქმარი და პრინცესა გატყუებენო. ჟულიეტა სასო-წარკვეთილია, ხან თავისს მეგობარს დე-როდეს (ვ. აბაშიძე) ეკითხება, მართალია ეს ამბავი, თუ არაო, ხან სარტინს (ვ. გუნია), მაგრამ ორივენი უმალავენ, თუმცა-კი ბოლოს სარტინი პრინცესასა და ქმარს, ერთად მობაასეთ, დაანახვებს. ჟულიეტა რწმუნდება, რომ მართალიაო, და უგუნებოდ ხდება. ორს საათს შემდეგ ჟულიეტა და ქმარი ცალკენი არიან. ცოლი ეუბნება, რომ ყველაფერი ვიციო. ყმაწვილი ქალი მშვიდობიანად არის. როჟერი ბედსა ჰმორჩილდება და ცოლს ეუბნება, რომ როგორც გინდოდეს, ისე მოვიქცეთო. გადასწყვიტეს განექორწინონ ერთმანეთს. როჟერი ძალიან შეწუხებულია, თავისი ცოლი უყვარს, მით უფრო ეხლა, და ისე ადვილად არ უნდა გამოეთხოვოს. დაღონებულ-დაძმარებული გადის ცოლის ოთახიდგან და ჟულიეტას-კი გული მისდის და უგრძნობლად ეცემა, წასულს ქმარს რომ ჰნახავს. ქმარი, ცოლი და ვექილი დე-როდე შეიყრებიან ერთად. გადასწყვეტენ, რომ როჟერს წერილები დააწერინონ, ვითომ-და თეატრის მოცეკვავე ქალთან მიწერილი, ამ მიზეზით უჩიელოს ცოლმა და ამ გვარად პრინცესას სირცხვილი აარიდონ. დე-როდე ძალიან სცდილობს ამ საქმის დაბოლოვებას, მით უფრო, რომ წინადაც სდომებია ჟულიეტას შერთვა, მაგრამ ქალს როჟერი უმჯობინებია. ქალიც ცოტაოდენს იმედს აძლევს. ამ ცოლ-ქმრის ამბავს პრინცესაც გაიგებს, სასო-წარკვეთილია, ატყობს კიდეც, რომ როჟერს ცოლი უყვარსო, და ეს ხომ უფრო მეტად უქენჯნის გულს. ამ აღელვებაში პრინციც შემოასწრობს. ცოლს ჯერ უნდა გაუმხილოს, მაგრამ ეღარა ჰბედავს და იგონებს, რომ ცოლ-ქმარნი ვიღაც მოცეკვავე ქალის მიზეზით ეყრებიან ერთმანეთს და ამან ამაშფოთაო. პრინცი დაშოშმინდება და მიდის. ამასობაში თითქო საქმე სასამართლოში სწარმოებს. სასამართლო მეუღლეებს განაქორწინებს და ორივეს-კი უყვართ ერთმანეთი. ცოლ-ქმარნი დიდის გრძნობით ემშვიდობებიან ერთმანეთს, ეტყობათ, რომ უძნელდებათ განშორება. ამ დროს დე-როდე ატყობინებს, რომ არა ხართ განქორწინებულნი, მე გატყუებდითო. ცოლ-ქმარნი სიხარულით გადაეხვევიან ერთმანეთს.

პიესა სამ-მოქმედებიანი და ოთხსურათიანია, ხოლო ქართულმა დასმა, არ ვიცით რად, პირველი ორი სურათი ცალკ-ცალკე მოქმედებად აქცია. შინაარსით, როგორც მკითხველი ჰხედავს, არა უჭირს-რა, თუმცა-კი ვერც კომედია დაერქმევა, ვერც დრამა, და უფრო-კი დრამა-კომედიაა, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ. პიესა შინაარსით აწინდელს ცხოვრებას შეეხება, მაგრამ ზოგიერთი მომქმედი პირი სუსტად არის დახატული, მაგალითებრ დე-როდე და განსაკუთრებით-კი სარტინი, რომელიც ცდომილ ვარსკვლავსავით გვენახვება პირველს სურათში, სულ ორიოდე სიტყვას ამბობს და შემდეგ აღარსადა სჩანს.

არტისტები თუმცა სცდილობდნენ, მაგრამ მაგდენი ვერა მოახერხეს-რა. ეტყობათ, საჩქაროდ დაედგათ პიესა, კარგად არა ჰქონდათ სათამაშო შეგნებული და თითო-ოროლამ როლიც-კი არ იცოდა. პრინცის როლი მაგდენად თვალ-საჩინო არ იყო პიესაში. დე-როდე როლის ცოდნაში კოჭლობდა ცოტა. პირველი სურათი ბალში გაჭიანურებული გამოვიდა, თუმცა არტისტები რომ სცდილიყვნენ და ამ სურათში ცოტა ცოცხლად ეწარმოებინათ მოქმედება, პიესას ეს გაჭიანურება არ დაეტყობოდა. პრინცესას არა უჭირდა-რა, ზომიერად ჩაატარა თავისი როლი, თუმცა-კი პრინცთან ლაპარაკი მეორე მოქმედებაში ვერ მოუვიდა კარგად. აქ პრინცესას უნდა ქმარს ყველაფერი გაუმჟღავნოს, დაიწყებს კიდეც, მაგრამ მივა თუ არა საბედშაო ადგილას, უცებ შეფრთხება, კილოს გამოიცვლის, სულ სხვა მიზეზს უამბობს ქმარს და აშოშმინებს. აი ამ ადგილას მეტად დიდი მწუხარება, დიდი ნაღველი და ტანჯვა დაანახვა პრინცესამ ქმარს. დიდად გულ-უბრყვილო ადამიანი უნდა ყოფილიყო პრინცი, ეს ქალების არშიყი, რომ შემდეგის ცრუ ამბით ისე ჩქარა დაშოშმინებულიყო და ისე ადვილადა აჰბმიყო თვალები. პრინცესა რომ უფრო ცოტა თავ-დაჭერილი ყოფილიყო და უფრო დიდის მოხერხებით მოქცეულიყო, ეს სცენა უკეთესად გამოუვიდოდა.

როჟერი მეტად გადაჭარბებით ჰღელავდა და იტანჯებოდა. ისეთი აღელვებული და გაშმაგებული-კი არ არის როჟერი, როგორიც არტისტმა დაგვიხატა. პირ-იქით, იმას უფრო ჩუმი ნაღველი და ტანჯვა ჰკლავს, მით უმეტეს, რომ თავისი თავი დამნაშავედ მიაჩნია და ნება-უნებურად უნდა დაჰმორჩილდეს გარემოებას, უნდა განექორწინოს და განშორდეს ცოლს. ჩვენი დრამატიული არტისტები პარველშივე დიდს ვნებათა-ღელვასა და გრძნობიერებას გამოიჩენენ ხოლმე და ბოლოს თუ მოუმატეს, სადაც პიესა მომატებასა თხოულობს, გადაჭარბება გამოვა, თუ არა-და, როლი ფუჭდება. მშვენიერად მოუვიდა არტისტს ის ადგილი, სადაც უკანასკნელად ეთხოვება ცოლს. ამ ადგილას სწორედ შეუდარებელი იყო ბ-ნი სვიმონიძე და ისეთი აღელვება დაეტყო, ისე კარგად აუკანკალდა და აუცახცახდა ხმა, რომ სცენისებური სიყალბე სულ არაფერში ეტყობოდა. საზოგადოდ-კი ეს არტისტი ჯერ კარგად ვერ მისჩვევია სცენას და თავი კარგად ვერ უჭირავს. აღელვების საჩვენებლად, მაგალითებრ, როჟერი მეტად დიდხანს ათამაშებდა საათის ძეწკვს და ამ გარემოებაზედ მეტის-მეტს ყურადღებას აქცევინებდა მაყურებელთ.

ჟულიეტას არა უჭირდა-რა და ძალიან კარგი იყო რამდენსამე ადგილას. საზოგადოდ როლიც ზომიერად ჩაატარა, თუმცა ზოგიერთგან რომ ცოტა გრძნობიერი ყოფილიყო, უკეთესი იქნებოდა. მეტად გულ-ცივად, მეტად უდარდელად იტანდა თავისს საყვარელ ქმართან განშორებას, ისე გულ-ცივად, რომ შიგა და შიგ ფარული შიშიც, აღელვება და სიყვარულიც-კი თითქოს არ ემჩნეოდა. როჟერს რომ ცოტა თავი შეეკავებინა და ჟულიეტას-კი უფრო მეტი გრძნობა გამოეჩინა, სწორედ მშვენიერად ჩაივლიდა კომედია.

თარგმანი უცოდველობას ვერ დაიკვეხებს, თუმცა-კი საერთოდ არა უჭირს-რა. ალაგ-ალაგ მეტად უხეირო ქართულია და, როგორც ეტყობა, მთარგმნელს, პირდაპირ დედანიდგან-

---

და უშველებელს ზარალს საწყალ პატარა შიოსას, და აბა თქვენ თითონ იფიქრეთ, სახეიროს რას მოახერხებდა აღშფოთებული, აღელვებული და გამწარებული ბოქაული, როდესაც სრულებით დაწყნარებულიც მაგდენს ვერას არიგებს.

ხასიათიანი ბოქაული-კი, რომელსაც გული მაგარი აქვს კედელივით და შეუვალი, როგორც სიპი ქვა, რომელსაც უმალ აჰსხლტება ხოლმე ყოველივე გრძნობა, ჰო, ასეთი ხასიათიანი ბოქაული-კი სწორეთ საუნჯეა, გინდა ქალაქში იყოს, გინდა სოფელში. მეტადრე სოფლად არის სანუკვარი ამისთანა ბოქაული. ვსთქვათ, უსიტყვო კაცი ხარ, საწყალი ადამიანი, აგერ თუნდა როგორც პატარა შიოა. მოგპარეს ხარი, ან ღორი. დაღონდი, დაძმარდი, ზარალმა მოგიკლა გული, ასდექ და მიჰმართე პატრონად დაყენებულს ბოქაულს. შესჩივლე შენი დარდი. გონიერი ბოქაული ჰხედავს, რომ მაგეთი მწუხარება ერთიან ბოლოს მოგიღებს დაგულს გაგიტეხს. ამიტომ ეცდება ისეთს გზაზე დაგაყენოს, როგორც ახალ-ქალაქელებს დააყენებდათ მძივივით აწყობილი და მარგალიტივით ძვირფასი სიტყვები—მე რას შემომჩერებიხართ, რა გინდათ ჩემგან? მე ხომ არ მომიპარავს თქვენი მოძრავი და უძრავი ქონება; ჩემთვის ხომ არავის-რა მოუპარავთ! დაიჭით ავაზაკები, მომგვარეთ და მე კიდევ გორში გავგზავნიო. სწორეთ რომ ბარაქალა! Толи дѣло მტკიცე ხასიათი...

კაცი არ უგვლა სწორია,
დიდი სძგვს კაცად კაცამდის.

**

ეჭვი არ არის, რომ თუ-კი სოფელს ეყოლება რიგიანი პატრონი, მაშინ არც დიდრონი შიოები და არც საწყალი პატარ-პატარა შიოები იქნებოდნენ თვალ-ცრემლიანნი მაგრამ ძნელიც ეგ არის, რომ სოფლის მოხელეობას სულ დაღუპულ დუქნებისაკენ უჭირავთ თვალი—აცა, ვინ ჩაგვაცეცხლებს „ზახრუმანს“ და აცა, ვინაო. სოფლები ისეთს სიღარიბეში არიან ჩავარდნილნი, ისე გატიალებულია სასოფლო ტყე და მინდვრები, მდინარენი, საიდამაც კარგი პატრონობა დიდს შემოსავალს აჩვენებდა სოფელს, ისე დამშრალია ყოველივე წყარო ქონებრივის ღონივრობისა, რომ დღევანდელი სოფელი იმისიც ძლიერ მადლობელია, რომ მუქთად, უჯამაგიროდა ჰყავს მოსამართლე და მამასახლისი. ნაჩუქარს ცხენს კიდევ ხომ კბილი არ გაესინჯება. კბილებს არ უსინჯავენ და ამიტომაც მოკლებულნი არიან ყოველ გვარ პატიოსნებას.

აიღეთ თუნდა იგივ ახალ-ქალაქი. იქაურებს რომ არ ეჭიროთ თვალი ნაჩუქარ ცხენზე და განუკითხველად არ ებღაუჯებოდნენ ამ ცხენებს, ქუშიანები იქნებიან, კოჭლები, ბებრები და წელწამხდრები, თუ რაშის მსგავსნი, იქაურები რომ თავიანთის ოფლითა და გარჯით მოპოვებულ ქონებას გამოიღებდნენ და ჯამაგირებს გაუჩენდნენ მოხელეებს, მაშინ არჩევანშიაც შეეცდონენ და ისეთს კაცებს მიანდობდნენ სოფლის პატრონობას, რომელთაც ამისი შესაფერი უნარიც გამოაჩნდებოდათ. ამ ჯამაგირებზე, გინდაც წელიწადში ორასი თუმანი შემდგარიყო, ახალ-ქალაქს იმდენიც არ დაეხარჯებოდა, რაც ეხლა ქურდებსა და ავაზაკებს მიაქვთ. გინდა სწორედ იმდენიც დახარჯოდა, ზარალი არ იქნებოდა. მარტო ის რათ ეღირებოდა რომ სოფელს აღარ აუტირდებოდნენ საწყალი პატარა შიოები! მარტო ის რად ეღირებოდა, საწყალ ბოქაულს არ აიძულებდნენ ხელ-ფეხის გამოდგების და მხნე სიტყვებიანს ორატორობას! მაგრამ ეს იქით იყოს. სოფელში დაცული იქმნებოდა სამართალი და სამართლიანობა, სოფელს არ გააქელეინებდნენ მრავალ მადა აშლილ მაწან-წალებსა და კარიერის მაძიებლებს. თუნდა ესეც იქით იყოს. კარგი მამასახლისი და მოხელენი შემოსავლის წყაროსაც გაუჩენდნენ სოფელს, რომ მათი ჯამაგირიც ამოსულიყო და თანხაც შემდგარიყო სხვა-და-სხვა ხარჯის მოსაშორებლად. სოფელს ექნებოდა მდიდარი მაღაზია პურისა, სოფელი გაიკეთებდა თავის საკუთარს დუქანს, შემნახველ-გამსესხებელ დეპოებს, გაიჩენდა საწყობებს ქალაქ ადგილას, რომ პირიანად გაესაღებინა თავისი ნაჭირნახულევი, ააყვავებდა სასოფლო მამულ-დედულს, გაიკეთებდა საკუთარს სკოლას, ბიბლიოთეკას და სხვანი, და სხვანი. ისეთი რა დუქანი უნდა იყოს თუნდ იმავ ახალ-ქალაქში, რომ სულ უკანასკნელი, სულ უკანასკნელი ორმოც-და ათი თუმანი მოგება არა ნახოს წელიწადში. ამის თანა დუქანი მგონი ექვსია ამ სოფელში. ეგ შენი სამასი თუმანი. ისე როგორ იყიდიან ვაჭრები ახალ-ქალაქის ნაჭირნახულევს, პურს, ღვინოს, საკლავს, რომ ყველა ამას არ გამორჩნენ ხუთას-ექვსას თუმანს და მეტსაც, რადგან ახალქალაქს ექნება ორი-სამი ათასის თუმნის აღებ-მიცემობა მაინც. და ისეთი რა ვაჭარი უნდა იყოს სოფელში, რომ გაღებულს მანათს ერთი აბაზი მაინც არ გააგდებინოს. ჩვეულებრივ ხომ მანათს გამორჩება ექვს აბაზს მაინც.

აი, რამოდენა საქმისა და აღებ-მიცემობის გაწევა შეუძლიან სოფლის მამასახლისსა და სხვა მოხელეებს, თუ კი ისინი მართლა ღირსნი არიან სოფლის პატრონობისა, თუკი აქეთ ამისი გაგება და თუ თვით სოფელი არა ჰხუჭავს თვალს არჩევანში და ნაჩუქარი ცხენი არ ელანდება სიზმარში და ცხადად.

ჩვენს ქართულს სოფლებში ასეთი გონიერება გამოიჩინა ჯერ მარტო მარტყოფმა. უკვე ისმის, რომ სოფელი არა სჩივის თავის გამბედაობასაო. ჩვენ-კი გვგონია, რომ ამას იქით არა თუ არ იჩივლებს, პირ-იქით, მადრიელი შეიქმნება თავისს ბედისა, რადგან განვითარებული მამასახლისი მართალს პატრონობას გაუწევს სოფელს, არ დააჩაგვრინებს არც ქურდებსა და არც ვაჭრებს, თვით მთავრობასთანაც ბევრს საქმეს გაურიგებს სოფელს და შემოსავლის წყაროსაც იმდენს გამოუჩენს, რომ სოფლის დაწიოკებას აღარა ჰქონდეს ადგილი ხარჯის მოკრების დროს.

**

ვათავებ დღევანდელს ფელეტონს იმ სასიამოვნო ხმებით, რომელიც ისმის ქართულ საზოგადოებაში შესახებ წინამძღვარიანთ-კარის სკოლისა და რომლის გაზიარებას საზოგადოებასთან სიხარულით ვესწრაფები. სამშაბათის ქართულს წარმოდგენაზე ბ-ნმა ფორკატიმ გამოუცხადა საზოგადოებას, რომ პარასკევს ჩემი საოპერეტო დასი და ქართული არტისტები ერთად გაჰმართავენ წარმოდგენას სასარგებლოდ იმავ დაზიარალებულის სკოლისაო, და სალამოზე ქართველმა საზოგადოებამ ბილეთები იყიდა პარასკევისთვის. თქმა არ უნდა, არც ერთი ჩვენი თანამემამულე უკან არ დაიხევს ამისთანა საქვეყნო საქმეში. ამბობენ აგრეთვე, რომ ქართველ თავად-აზნაურთა საგუბერნიო და სამაზრო მარშლები დიდის მხნეობით მოეკიდნენ ფულის მოკრებას ამ სკოლის სასარგებლოდაო, ამბობენ კიდევ, რომ უნდათ ნება-რთვა აიღონ და გაჰმართონ ხელის მოწერაო. ერთის სიტყვით, ეხლა სულ ამაზედ-ღა ლაპარაკობს ჩვენი საზოგადოება და ვნახოთ რა იქნება.

სანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი არა, უფრო რუსულიდგან უნდა გადმოელოს. ამას განსაკუთრებით ის უფრო ამტკიცებს, რომ ორგან-სამგან პიესა რუსიციზმებით არის გაჭრელებული.

„ჟულიეტას“ შემდეგ მეორედ წარმოადგინეს ვოდევილი „ადვოკატთან“. ეს ვოდევილი ძალიან მხიარულია, როგორც უკვე ვსთქვით, სიამოვნებით საყურებელი და ძალიან ცოცხლადაც ჩაიარა, თუმცა-კი ზოგიერთმა არტისტებმა თავისს როლებს გადააჭარბეს და ფარსის ხასიათი დასდეს.

წარმოდგენას საკმაოდ დიდი საზოგადოება დაესწრო და კარგადაც დაუხვდნენ ჩვენის სცენის უნიჭიერეს არტისტ-ქალის ბენეფისს. საჩუქრად მობენეფისეს მიართვეს: ერთი თაიგული, ერთი დაფნის გვირგვინი, ერთი ყვავილებისავე კალათა, ვერცხლის ჩაის იარაღი, ვერცხლისავე სერვიზი, ოქროს გულის ქინძისთავი, ბრილიანტებით შემკული, და ოქროსივე ორი სამაჯური. წარმოდგენის შემდეგ საზოგადოებამ დიდის ამბით გააცილა პატივცემული არტისტი-ქალი.

მანოელიძე

## წერილები რედაქციის მიმართ

### I

უმორჩილესად გთხოვთ უბოძოთ პატარა ადგილი თქვენს გაზეთში ანგარიშს წარმოდგენისას, რომელიც იყო ქალაქს სიღნაღში 3 დეკემბერს «დედათა სასწავლებლის» სასარგებლოდ. წარმოადგინეს ქართულად პიესა ა. ცაგარლისა „რაც გინახავთ, ველარ ნახავთ“ და რუსულად „Жилецъ съ тромбономъ“ შემოსავალი იყო 103 მან., ხარჯი 23 მან. სცენის სასარგებლოდ 5 მან. გადაიდება და დანარჩენი 75 მან. გადაეცემა თავმჯდომარეს «დედათა სასწავლებლის გამმართველ საზოგადოებისას». გულითადს მადლობას ვუძღვნით ერთობ ყველას, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა ამ წარმოდგენაში და ნამეტნავად ქ. პაიჭაძისას და ბ-ნთ ქალანთაროვს, იაროვს და სხვებს.

ნინა სვიმონის ასული ანდრონიკოვისა

### II

კომიტეტი, დაარსებული მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის პალლადის ნება-რთვით განსაახლებლად თილევის ტაძრისა, უგულითადესს მადლობას უძღვნის ქვემო მოხსენებულ შემომწირველთ, რომელთაც შემოსწირეს ამ საქმეს შემდეგი: მათმა ბრწყინვალებამ თავმჯდომარემ კომიტეტისამ ღენერალ-მაიორმა თავადმა მიხეილ ქაიხოსროს ძემ ამირაჯიბმა 200 მან., ერთმა წევრთაგანმა კომიტეტისამ თავადმა ალექსანდრე როსტომის ძემ ამირაჯიბმა 100 მ., თავადმა ლევან ამირაჯიბმა 100 მან., თავადმა რევაზ ამირაჯიბმა 50 მ., კნეინა ეფემია ამირაჯიბისამ 30 მ., თავადმა მიხეილ ხერხეულიძემ 15 მ., კნეინა ნინა ფავლენიშვილისამ 3 მ., პრაპორშჩიკმა თავადმა ზაქარია ფავლენიშვილმა 5 მ., აილევის სამრევლო მღვდელმა მ. ერმალოზ ედილაშვილმა 5 მან., სოფრონ ტარიელიშვილმა 1 მ. და გიორგი ირემაშვილმა 40 მ. და სრულიად 509 მ. 40 კაპ. კომიტეტს სრული იმედი აქვს, რომ სხვანიც მრავალნი მიჰბაძავენ ზემოხსენებულთა კეთილს მაგალითს და თავის შეწირულებით შეწევნას აღმოუჩენენ კომიტეტს.

წევრი კომიტეტისა თილვის ტაძრის მღვდელი

ალექ. ზედგინიძე.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ჟურნალ „Историческій Вѣстникъ“-ის უკანასკნელს წიგნში დაბეჭდილია წერილები ს. ბ. ბრონევსკისა, რომელშიაც, სხვათა შორის, საყურადღებო ცნობებია ნაამბობი გენერალ თ. ციციანოვის სიკვდილის შესახებ.

რადგან საქართველოს ახლომახლო ადგილებში არეულობა არა წყნარდებოდა, თ. ციციანოვმა გადასწყვიტა თურმე ბაქოს ციხე აეღო და აფიცერი გაჰგზავნა, რომ დაგვნებდითო. ჰუსეინ-ყული ხანმა, ბაქოს მფლობელმა, უპასუხა, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძვი და უბრალოდ არ დაგითმობ ჩემს სამფლობელოსაო. დაიწყო აურზაური.

ამასობაში ხანს კერძო მოლაპარაკება ჰქონდა და თავს ისე აჩვენებდა, ვითომ-და ციხე მინდა დაგითმოთო. გენერალს არწმუნებდა თურმე, რომ თქვენთან მეგობრობის მეტს სხვას არასა ვარ მოწადინებულიო, ამითი საქმეს აჭიანურებდა და მოსაშველებლად წამოსულს ჯარს ელოდდა. გენერალს-კი მაინც დიდი სამზადისი ჰქონდა ციხის ასაღებად და მხნედ მოტყუვდებოდა. იგი ნამდვილი ქართველი იყო და ისე იცნობდა აზიელებს, როგორც თავისს თავს.

დასასრულ ხანმა გამოაცხადა, რომ ბეგების კრებაზედ ავწონ-დავწონეთ ჩვენი გარემოება, ბრძოლის დაწყებამდე აღარ გავახიახებთ საქმეს და ციხეს დავუთმობთ რუსებსაო. ამას თან დასძინა, რომ ერის თვალში ნუ შემარცხვენთ, საჯაროდ ნუ მომართმევინებთ ციხის გასაღებს, ციხესთან შევიყარნეთ უიარაღოდ და იქ გადმოგცემთ გასაღებსაო. შემდეგ შეგიძლიანთ ჯარი გაგზავნოთ ქალაქის დასაჭერად და მე-კი განმათავისუფლეთო.

თავადს ძალიან ესიამოვნა თურმე ეს ამბავი და ყარაულს ბრძანება გასცა, რომ ციხის შორი-ახლო დასდექითო. პოლკოვნიკი თავ. ერისთავი და მაიორი ტარასოვი აფრთხილებდნენ თ. ციციანოვს, რომ ხანს ბოროტი აქვს რაღაცა განზრახული; ეს ჩვენ კარგად შევნიშნეთ, როცა ქალაქში ვიყავით და ყური დავუგდეთ ბეგთა გადაკრულსა და ორ-აზროვანს ლაპარაკსაო. მაგრამ თავადმა არ მოუსმინა თურმე, აღშფოთდა და გაისტუმრა თავისგან. ძმა და ძმისწული თავადისა ემუდარებოდნენ თურმე, რომ საფრთხეში ნუ აგდებ შენს თავსაო, მაგრამ ციციანოვმა თავისი არ დაიშალა.

დილა ადრიანად თ. პავლე დიმიტრის ძე გამოვიდა თურმე სადღესასწაულოდ მორთული თავმოყრილ გენერალიტეტის წინაშე და სთქვა, ასე მმართებს ჩაცმა, რადგან ხელმწიფე იმპერატორის სახელით უნდა ჩავიბარო ქალაქი და გასაღებიო. მაშინდელის წესით სამხარი მოიტანეს, არაყი დალიეს, და თავადმა, თავის ჩვეულების წინააღმდეგ, დიდი ჭიქა აივსო არაყით. შემდეგ ჯიხვით ღვინო ჩამოარიგეს... ყველანი გაემართნენ ციხისაკენ. ის ადგილი, სადაც უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს თ. პავლე და ხანი, ქალაქიდგან 200 საჟენის მანძილზედ იქნებოდა. თავადის ნათესავები ურჩევდნენ თურმე, რომ ან სულ ნუ წახვალ და ან ჩვენც თან გაგვიყოლეო, მაგრამ ამაოდ. თავადი მამაცად იყო და მშვიდობიანად. თავადს ერისთავს, რომელმაც სპარსული და თათრული ენა იცოდა, თარჯიმანობა უნდა გაეწია.

დილის 9 საათზედ მთავარ-მართებელი მივიდა დანიშნულს ადგილას. ქვევითად უიარაღო უზბაში მისდევდა ცხენის ჩამოსართმევად. ქალაქის კარები დაკეტილი იყო, ხოლო კედელზედ ჯარი იდგა გამწკრივებული. ხანი არა სჩანდა. თავადმა ციციანოვმა უბრძანა ერისთავს, წადი და მოაგონე ხანს, რომ ამაზედ მეტი ლოდინი არ იქნება, რადგან ამით დავამცირებ იმპერატორს, რომლის სახელითაც ვმოქმედობო. აი ამ დროს ციხიდგან გამოვიდნენ ჰუსეინ-ბეგი და ქავთალოხანი ყალა-ბეგი ქალაქის გასაღებითა და პურ-მარილით და გამოაცხადეს, რომ ხანს თქვენის ჯარის ეშინიან და თითონ ვერ გამოვაო. მთავარ-მართებელმა ციციანოვმა უპასუხა, რომ თუ ხანს ეშინია რამე, დეე ათასის ჯარის-კაცით გამოვიდეს და მე-კი მარტო ვიქნები, თან მეყოლება მხოლოდ თ. ერისთავი, ჩემი თარჯიმანიო. ამას თან დასძინა, რომ თუ ეხლა იძულებული შევიქენი უკან დავბრუნდე, შემდეგ კაბით მოვალო. ამასთან გასაღები და პურ-მარილი უკანვე დაუბრუნა და უთხრა თურმე, რომ მაგას მხოლოდ ხანის ხელიდგან მივიღებო. ამ დროს გაიღო კარები და გამოვიდა ხანი, რომელსაც თან ორი უშველებელი შეიარაღებული კაცი გამოჰყვა. ერისთავმა მოაგონა თურმე ხანს, რომ მაგ შეიარაღებით ქალაქის დამორჩილების პირობა ირღვევაო. ხანმა უპასუხა:

— თქვენა და თავადმა ციციანოვმა კარგად იცით აღმოსავლეთის ჩვეულება, იცით, რომ ამაღა არასოდესა სტოვებს იმას, ვისაც ემსახურება, და იმათი იარაღის აყრა-კი გაუპატიურების თანასწორია. წადით მთავარ-მართებელთან და დაამშვიდეთ, თითონ მე-კი უიარაღოდ მივეგებებიო.

ეს სიტყვა ასრულებულ იქმნა. მთავარ-მართებელს რომ მიუახლოვდა ხანი, ცხენიდგან ჩამოხტა. ჯარი დიდის ყურადღებით უყურებდა ამ ამბავს. სამარებრივი სიჩუმე ჩამოვარდა... ხანმა გასაღები გადასცა თავადს და გადაჰკოცნეს კიდეც ერთმანეთი. ამაზედ უკეთესი სხვა რაღა იქნებოდა?.. მაგრამ თავადი მორჩა თუ არა ხანის გადახვევას, ამ დროს ორი მხლებელი ხანისა მოახლოვდნენ, ორივემ ტყვია დაახალეს თ. ციციანოვს, იქვე თავი წააგდებინეს და ერთს წუთას ისიც-კი მოასწრეს, რომ ყველა ბრილიანტები ააცილეს და ბეჭდიანი თითი წააჭრეს. თ. ერისთავი გამოეკიდა ხანსა და უსაყვედურებდა, მაგრამ ხანმა იმისი მოკვლის ბრძანებაც გასცა... ციხიდგან თოფმა და ზარბაზანმა დაიჭექა. აქედგანაც უნდოდათ მისცვივნოდნენ, მაგრამ უეცარმა უბედურებამ, დაკარგვამ ისეთის უფროსისამ, როგორიც თავადი პ. დ. ციციანოვი იყო რომლის სახელიც არასოდეს იქმნება დავიწყებული კავკასიაში, ისე, არივ-დარია ჯარი, რომ იძულებული შეიქმნა ზანაკშივე დაბრუნებულიყო.

ეს ამბავი 1805 წ. იყო, თუ არა ვცდებით. მას შემდეგ დიდხანს არ გაუვლია, რომ ქალაქი ბაქო უბრძოლველად დაჰმორჩილდა რუსეთს და ხანი-კი სადღაც გაიქცა, რადგან სიკეთეს არას მოელოდდა რუსეთის მთავრობისაგან.

## წვრილი ამბები

ევროპის ხელმწიფეებისა და მეფეების შთამომავლობაზედ შემდეგი ცნობებია დაბეჭდილი „Almanach de Gotha“-ში: ყველაზედ ბევრი შთამომავალი ნიკოლოზ ჩერნოგორიელსა ჰყავს—ათი ყმაწვილი. ამას მოსდევს საბერძნეთის მეფე, ინგლისის დედოფალი და სულთანი, რომელთაც შვიდ-შვიდი შვილი ჰყავთ. დანიის მეფესა და თ. შაუმბურგ-ლიპპეს — ექვს-ექვსი ყმაწვილი ჰყავთ, გერმანიის იმპერატორსა, ჰესენის დიდს ჰერცოგს, ანგალტის ჰერცოგს, თავად რეისს და თავად ვალდეკეს — ხუთ-ხუთი შვილი; ჰერცოგ საქსენ-მეინინგენისას და შვეციის მეფეს—ოთხ-ოთხი შვილი; ბელგიის მეფეს, დიდს ჰერცოგს მაკლენბურგ-შვერინისას და დიდს ჰერცოგსავე საქსენ-ვეიმარისას—სამ-სამი; დიდს ჰერცოგს ბადენისას, ავსტრიის იმპერატორს, დიდს ჰერცოგს ოლდენბურგისას, პორტუგალიის მეფეს—ორ-ორი; იტალიის მეფეს, დიდს ჰერცოგს მეკლენბურგ-შვერიცკისას, თავადს მონაკოს, ნიდერლანდთა მეფეს და ჰერცოგს საქსენ-ალტენბურგისას—თითო. ნამდვილი მემკვიდრე არა რჩებათ ბავარიის მეფეს, თავად ლიხტენშტეინს, თავადს ლიპპეს, რუმინიის მეფეს, ჰერცოგს საქსენ-კობურგ-გოტისას, საქსონიის მეფეს, თავად შვარცენბურგ-რუდოლშტადტსკის, თავადს შვანცერბურგ-ზონდერს-გაუზენის, სერბიის მეფეს, ისპანიის მეფეს და მეფეს ვირტემბერგისას.

— დაუღალავს გლადსტონს ამერიკის ჟურნალ „North American Review“-ის დეკემბრის ნომერში თავისი აზრი აქვს მოყვანილი განქორწინების შესახებ. განქორწინებას ეს კაცი ყოველ მხრივა ჰკიცხავს და ამცირებს. საზოგადოების კეთილდღეობა უეჭველად ქორწინებაზედ უნდა იყოს დაფუძნებულიო, ამბობს იგი. ქორწინება ისეთი პირობაა, რომ მხოლოდ პირობის შემკვრელთა სიკვდილითვე შეიძლება დაირღვეს. ქრისტიანი ქორწინების დროს აღთქმასა სდებს ღვთის წინაშე და ეკკლესიას იმდენი უფლება არა აქვს, რომ ამ აღთქმისაგან განათავისუფლოს კაცი. აი კიდეც ამიტომ ლათინთა და ინგლისელთა ეკკლესია განქორწინების შემდეგ არავის აძლევს ნებას ხელ-ახლად ჯვარის წერისას. ინგლისში, მას შემდეგ, რაც 1857 წ. განქორწინების კანონი შემოიღეს, უმაღლესმა საზოგადოებამ ზნეობის მხრივ ძალიან დაიქვეითაო.

— ათინაში საბერძნეთის მეფე ამას წინად ერთ კრიტელს შეხვედრია. მეფე და პრინცი გიორგი ქუჩაში დასეირნობდნენ თურმე და დაინახეს, რომ ერთი კრიტელი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ვიღაც პატარა ბიჭსა სცემდა უშველებელის ჯოხით. ბიჭი ყვიროდა და ცრემლები ღაპა-ღუპით სცვიოდა. აღელვებული მეფე მივიდა კრიტელთან, ჯოხი წაართვა ხელიდგან და უთხრა: „არა გრცხვენიან, რომ მაგ პატარა ბავშვს აგრე სასტიკად ეპყრობიო?“ კრიტელმა ვერ იცნო თურმე მეფე, დაუყვირა: „არა, შენ ვიღა ბრძანდები, რომ მოსულხარ და ჭკუას არიგებო“, და უნდოდა მივარდნოდა, მაგრამ მეფემ და პრინცმა გიორგიმ ხელში დაუჭირეს, ამასთან მეფემ მიიხმო თურმე პოლიციელი და უბრძანა, რომ კრიტელი პოლიციაში წაიყვანეო. «პოლიციაში გამოაცხადე, რომ მეფემ გამოგზავნა-თქო». ამ სიტყვების გაგონებაზედ კრიტელი მუხლებქვეშ ჩაუვარდა თურმე მეფეს და პატიებასა სთხოვდა. მეფემ მეორე დღესვე განათავისუფლებინა ეს კაცი. ათინის გაზეთები ამბობენ ამ შემთხვევის გამო: კარგი იქნებოდა, რომ მეფეს თავისის საკუთარის ხელითვე დაეპატიმრებინა სხვა ბოროტ-მოქმედნიც, მაგალითებრ რამდენიმე მინისტრიო.

— ახალს მექსიკაში, იქაურის გაზეთების სიტყვით, ამას წინად იქ არა ჩვეულებრივი ბრძოლა ჰქონიათ დანებით ერთს ინდოელსა და ერთსაც მექსიკელს, საქონლის ჩოდარს. ამ ორს კაცს დიდი ხანია სძულებიათ ერთმანეთი და აი, ეხლა გადაუწყვეტიათ ბრძოლა, რომ ან ერთი მოეკლდეს წუთი-სოფელს და მეორეს არ ეხსირებოდეს თვალში და ან მეორე. ბრძოლის პირობა ასეთი ჰქონიათ: თითო-თითომ გაუშვიროთ ერთმანეთს ხელი და თითო თითი მოაჭრათ ხოლმე დანით. თუ ერთ-ერთმა ჩვენთაგანმა ტკივილისაგან ხმა ამოიღო, უბრალოდაც არის დაიკრუსუნა, მეორეს ნება ეძლევა დანა გულში დასცეს და იქვე მოჰკლასო. გარიყრაყისას მებრძოლნი შეიყარნენ დანიშნულს ადგილს და თითოეულს თავისი სეკუნდანტი ჰყავდა. წილი ჰყარეს, პირველად ინდოელს ერგო თითის მოჭრა და იმანაც მაშინვე მოჰკვეთა დანით სალოკი თითი. მექსიკანელს წარბიც არ შეუკრავს, მაშინვე ნეკი მოუჭრია თავის მოწინააღმდეგესათვის. დაუწყეს ასე ერთმანეთს თითების ჭრა და ტანჯვა-წამება არც ერთს არ გამოუაშკარავებია და გარეგნად არ გამოუმჟღავნებია. უკვე მებრძოლთ ოთხ-ოთხი თითი აღარ ებათ თურმე, რომ მექსიკანელის სეკუნდანტს შეეშინდა, ჩემს მებრძოლს სისხლი ძალიანა სდისო, და რევოლვერი ესროლა პირდაპირ გულში ინდოელს. მექსიკანელი და ორივე სეკუნდანტი დაპატიმრებულნი არიან და სამართალში იქმნებიან მიცემულნი, მაგრამ ძნელად თუ თითებ-მოკვეთილი საქმის განხილვას-და მოესწროს. იმდენი სისხლი სდენია ჭრილობიდგან და ისე შეუწუხებია, რომ ეს კაცი უკანასკნელს დღეშია თურმე.

## დღეში

19 დეკემბერი

მიტავა. დღეს პირველი კრება იყო საქალაქო საბჭოსი რუსულის ენის შემოღების თაობაზე საქალაქო თვითმმართველობის საქმეებში. ბრძანება ამ საგნის შესახებ ხმოსნებმა ფეხზე დგომით მოისმინეს და შემდეგ დაიწყო სჯა მორიგ საქმეების გამო. სჯა განსაკუთრებით რუსულად იყო და რუსული ლაპარაკი არავის არ უძნელდებოდა.

ტამბოვი. საგუბერნიო საერო კრებამ გადასწყვიტა: ეშუამდგომლოთ, რომ რაც შეიძლება მალე შეიცვალოს პროგრამები გიმნაზიებისა და შემსუბუქდეს სწავლის საქმე ამ სასწავლებლებშიო. კრებამვე გადასწყვიტა: სულით ავადმყოფ გლეხთა მკურნალობა ერობამ იტვირთოს თავის ხარჯითაო.

პეტერბურგი. 23 იანვრს გაარჩევს სენატი საქმეს კავკავის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარედ ნამყოფის ვიტკოვსკისას და იმავე სასამართლოს შემოსავალ-გასავლის მწერალის ვეჩერკოსას, რომელთაც ჰბრალდებათ თანამდებობის საწინააღმდეგო დანაშაულობა. დამცველნი იქმნებიან: ანდრიევსკი და სოკოლოვი.

სენატმა განიხილა საქმე ყალბის ფულ-მისაღების ბარათებისა და ფუ-

ლის მიღებისა იმ ბარათების ძალით და გადასწყვიტა: აეხადოს ყოველივე უფლება და გაიგზავნოს ციმბირში სამუდამოდ დასასახლებლად ქუთაისის გუბერნატორის კანცელარიის საქმეთ-მწარმოებლად ნამყოფი სპიროვი, ტფილისის საკონტროლო პალატის მოანგარიშედ ნამყოფი მოხელე ტიმოფეევი და ქუთაისის გუბერნატორის კანცელარიის რეგისტრატორად ნამყოფი რადჩენკო, ბრალდებულს დგებუაძეს აეხადოს ყოველივე უფლება და გაიგზავნოს საცხოვრებლად ტობოლსკის გუბერნიაში. ბრალდებული ჩიმბაძე სენატმა გაამართლა.

პარიჟი. დიდი მთავარი მარიამ პავლეს ასული დღეს საღამოს წამოვა პეტერბურგს.

ბერლინი „Tageblatt“-ს სწერენ დეპეშით ზანზიბარიდამ გუშინდელის თარიღით, რომ ექსპედიცია პეტერსისა არ ამოუწყვეტიათ-კი, არამედ გზად იმყოფება კენიის მთებიდამ დასავლეთ ნაპირებისაკენაო.

20 დეკემბერი

პეტერბურგი. გამოცხადებულია აზრი სახელმწიფო საბჭოსი, რომ ის სასჯელი, რომელსაც იჩენენ მომრიგებელნი მოსამართლენი ტელეგრაფის მავთულების გაფუჭებისათვის, დაიდოს ხოლმე იმათთვისაც, ვინც ტელეფონის მავთულებს გააფუჭებს.

კონფერენც-სეკრეტარი ხელოვნებათა აკადემიისა ისეიევი დაეთხოვა სამსახურს. მის მაგიერ დანიშნულ იქმნა წევრი საარხეოლოგიო კომისიისა გრაფი ტოლსტოი.

გუშინ გარდაიცვალა პეტერბურგში ქალაქის თავად ნამყოფი გლაზუნოვი.

რუსეთის სამკურნალო საზოგადოებამ ბოტკინის ხსენების გასამარადებლად გადასწყვიტა დაარსოს ფონდი და იმ ფონდით აგოს პეტერბურგში ქვრივთა თავ-შესაფარი სახელი დაბოლოებულ რუსეთის მკურნალთა ოჯახობათათვის. ამ აზრით დაადგინა: იშუამდგომლოს, რომ მთელს რუსეთში ხელის-მოწერა გაიმართოს ზემოხსენებულის ფონდის სასარგებლოდაო.

რომი. (დეპეშა „სტეფანისა“). დღევანდელს კონსისტორიაზე პაპმა გამოაცხადა, რომ სხვათა-შორის მონსინიორ ცერსა დაინიშნა ტირისპოლის ეპისკოპოსადაო. მონსინიორ კოსსოვსკი ვლადისლავის საფრაგანადაო, აბბატი ანგიევიჩი ვილნოს ეპისკოპოსადაო, პრელატი იაჩევსკი ლიუბლინის ეპისკოპოსადაო და აბბატი ნოვოდვორისა პლოცკის ეპისკოპოსადაო.

პეტერბურგის ბირჟა, 19 დეკემბ.

| | მყიდველნი | | გამყიდველნი | | გარიგებანი | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — | „ | — | „ | 7 | 46 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — | „ | - | „ | 149 | |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 | 11 | — | „ | — | „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | 275 | | — | „ | — | „ |
| —მეორისა . . . . . | — | „ | — | „ | 250½ | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — | „ | — | „ | — | „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — | „ | — | „ | — | „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — | „ | — | „ | — | „ |

გამოსაღები ცნობანი

ნიხრი

1 ნოემბრიდამ 1 დეკემბრამდე

| | |
|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. | 3½ |
| „ 2 „ | 3 „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარ. | 5 „ |
| „ „ 2 „ | 4 „ |
| „ „ 3 „ | 3½ |
| ძროხის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა. . . . | 5 „ |
| მე-2 ხარისხისა . . . . | 4 „ |
| მე-3 — . . . . . . | „ „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 „ |
| „ 2 „ | 7 „ |
| სუკი. . . . . . . . | 14 „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 „ |
| ღორის ხორცი . . . . . | „ „ |
| „ 2 „ | „ „ |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავ ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს კვირაზე გემები.

# განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობა ამით აცხადებს, რომ რადგან 16 დეკემბერს დანიშნულ ვაჭრობაზედ ვერ გაიყიდა ქვე მოხსენებული იყიდება, ინიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა 30 დეკემბერს 1889 წ.

კოშოვისა, მატრონა ანდრიას ასული: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ფლიგელით. მიწის ზომა 30 ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისს, ვარანცოვის 1 ნაწილში, 1 განყოფ., მოსკოვის ქუჩაზე. თავნი ვალი 1004 მ. 15 კ., შემოსატანი 148 მ. 22 კაპ., სულ 1152 მ. 37 კაპ.

თარხან-მოურავი, ლევან ლუარსაბის ძე: სახნავი, საძოვარი ადგილები და ტყე, ზომით 593 დესიატ. 1893 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიასა და გორის მაზრაში, სოფ. გუდალეთსა, სათარხნოსა და სხვ. თავნი ვალი 5807 მ. 89 კ. შემოსატანი 340 მ. 12 კ. სულ 6148 მ. 1 კ.

პოლტორაცკი, ივანე ეგნატეს ძე: ორი ორ-სართულიანი ქვითკ. სახლი ორის ორ-სართულიანის ფლიგელით და შენობით. მიწის ზომა 321⅔ ოთხ-კუთხი საჟ. ქ. ტფილისში, 1 განყოფილებაში, 1 ნაწილში, ოლგასა და მოსკოვის ქუჩაზე. თავნი ვალი 18,482 მან. 14 კაპ., შემოსატანი 2261 მან. 56 კაპ., სულ 20,743 მან. 70 კაპ.

მაკაროვი, პეტრუშ მინასას ძე: ერთ-სართულიანი სახლი სამ-სამსახუროთი სახნავ-სათიბი ადგილები და ხეხილიანი ვენახი. მიწა ზომით 177 დეს. 7 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფ. თხინვალს. თავნი ვალი 5678 მან. 4 კაპ., შემოსატანი 256 მან. 48 კაპ., სულ 5934 მან. 52 კაპ.

რატიშვილი, გიორგი მიხეილის ძე: სახნავ-სათიბი, სამოსახლო და საბაღე ადგილები და შენობანი. მიწა ზომით 92 დეს. 70½ ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიასა დუშეთის მაზრას აგარაკს ქსოვრისში. თავნი ვალი 4452 მან. 93 კაპ., შემოსატანი 299 მან. 58 კაპ., სულ 4752 მან. 51 კაპ.


# მოგვივიდა

დიდ-ძალი სპარსული და აქაური ხილი.

იყიდება მეტად ზომიერ ფასად ერევნის მოედანზე, ტერ-ასატუროვის სახლებში, თამამშოვის ქარვასლის პირდაპირ.

ბიგირ მამედოვი

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земельн. Банка, № 102).

იყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ |
|---|---|---|
| გლახის ნაამბობი, ილ. ჭავჭავაძისა . . . . . | „ | 25 |
| მეფე ლირი, თარგ. ილ. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლისა ინგლის. . . . | „ | 60 |
| თხზულებანი ნ. ზ. ანტონოვისა: . . . . | 1 | „ |

მრავლისა და სხვა-და-სხვა გვარის

# სათამაშოების გამოფენა

იქნება

საცენტრალო გალანტერეის მაღაზიაში,

რომელიც იმყოფება ერევნის მოედანზედ, ზუბალოვის სახლში, სკვერისა და სემინარიის პირდაპირ.

იქვე

მრავლად და იაფად იყიდება

ყოველ გვარი საგალანტერეიო და სოჯახო ნივთი, თეთრეული, ხელსახოცი, ქერხი, ფუფეიკა, ზერანგის ამხანაგი, ლამპა, ჭურჭლეული, ალბომი და მრავალი სხვა (10—4)


# ქალაქის გამგეობის განცხადება

ქალაქის საბჭოს გარდაწყვეტილებით, რომელიც შესდგა 23 ოქტომბერს 1889 წ. ტფილისის ქალაქ-ს გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ 1 იანვრიდამ 1890 წ. გადასახადი დადებული „იზვოსჩიკებსა და მეპოვოზკეებზედ (ИЗВОЗНЫЙ ПРОМЫСЛЪ) გაუქმებულ იქმნება და იმავე დღიდამ დაიწყება გამორთმევა გადასახადისა, ცხენებზედ დაწესებულისა, შემდეგის ახალის წესითა:

§ 1 უმაღლესად დამტკიცებულის 20 ოქტომბრს 1882 წ. და 4-ს თებერვალს 1888 წ. სახელმწიფო საბჭოს აზრის ძალითა და აგრეთვე ბ-ნ შინა-საქმეთა მინისტრის, 1889 წ. 29 ივლისიდამ, № 5377-ს ნება-რთვითა, დაწესებულ იქმნა ქალაქ ტფილისში ქალაქის შემოსავლისათვის გადასახადი ცხენებზე ასაღები. ამასთან ეს გადასახადი აიღება ყოველს ცხენზე, რომელიც-კი ეყოლებათ ქალაქის წრეში კერძო პირთა და დაწესებულებათა (საზოგადოებათა, ამხანაგობათა და კომპანიებსა), ხოლო ეს გადასახადი არ გამოერთმევათ იმ ცხენებზე, რომელნიც ეკუთვნიან: ა) იმ სახელმწიფო სამსახურში მყოფთ პირთა, რომელთაც არსებულის კანონებით მინიჭებული აქვთ ცხენების ყოლა იმდენი, რამდენიც კანონითვე განსაზღვრულია (ბძანება სამხედრო დაწესებულების მიმართ 23 ს აგვისტოს 1889 წ. № 200—„Кавказъ“, 1889 წ. № 242); ბ) უფროს კონსულებს, ვიცე-კონსულებს, კონსულების აგენტებს, რომელნიც ქვეშევრდომნი არიან იმ სახელმწიფოსი, რომლისაგანაც არიან დანიშნულნი, თუ ეს სახელმწიფო შეკრულია რუსეთთან ცალკე კონვენციითა შესახებ კონსულთა უფლებისა, ანუ თუ მის მიერ ამისთანა შეღავათი მინიჭებული აქვს რუსეთის კონსულებსაც, და გ) დროებით ქალაქში მოსულთა და მყოფთა (1 მუხლი 20 ოქტომბრის 1882 წ. კანონისა).

შენიშვნა. ცალკე გადაწყვეტილებამდე საკუთრივ ეკიპაჟები და სხვა სატარებელნი თავისუფალ არიან გადასახადისაგან.

§ 2, გადასახადის ქვემდებარე ცხენები სამ რიგად განიყოფებიან. პირველის რიგის ცხენებზე გამოერთმევათ 10 მანეთი, მეორის რიგისაზე—8 მანეთი და მესამე რიგისაზე—5 მანეთი.

პირველ რიგს ეკუთვნიან: ცხენები შინაური საეკიპაჟო, ბირჟის საფაეტონო (წყვილი თითო ფაიტონზე), ბირჟის სადროჟკო (ერთი თითო დროჟკაზე) და საფოსტო. მეორე რიგისას ეკუთვნიან: საპალნის ცხენები (ЛОМОВЫЯ) (და ამათ შორის წყლის მზიდველნი ბოჭკით). მესამე რიგს ეკუთვნიან ყველა სხვა ცხენები, ჯორების გამოუკლებლად (2 და 6 მუხ. 20 ოქტომბრის 1882 წ. კანონის ძალითა).

შენიშვნა. ვისაც ცხენი ჰყავს და იმასთან სხვა-და-სხვა ღირსების ეკიპაჟი აქვს, მაგალითებრ, დროჟკა, პოვოზკა, ანუ ურემი, მაშინ ცხენი იმისი უმაღლეს რიგის ცხენად ჩაითვლება გადასახადის გამოსაღებად.

§ 3, გადასახადი უნდა შეტანილ იქმნას ტფილისის საქალაქო გამგეობის (управа) კასსაში იანვრისა და თებერვლის განმავალობაში ყოველ წლივ თანხმად გადასახადის სიისა (ОКЛАДНОЙ ЛИСТЪ), რომელიც დაურიგდებათ საქალაქო გამგეობისაგან უწინარეს იმ დროისა, ვიდრე დადგება ზემოხსენებული ვადა გადასახადის შეტანისა. ცხენების პატრონებს, რომელნიც თავის დროზე არ შეიტანენ შეხვედრილს გადასახადსა, ანუ იმდენს არ შეიტანენ, რამდენიც ცხენი ჰყავთ, გადახდებათ ჯარიმა ოც-და-ოთხი პროცენტი იმ ფულისა, რაც გადასახადს დაკლებულ იქნება, გარდა იმისა, რომ პოლიციის წესით გამოერთმევათ თვით გადასახადიცა. ეს ჯარიმაც შეირიცხება ქალაქის შემოსავალში (2 და 3 მუხ. 20 ოქტომბრის 1882 წ. კანონისა და საქალაქო წესდების 138-ს მუხ. ძალით).

§ 4, იგინი ვინც შეიძენენ ცხენებს შემდეგ გადასახადის სიების დარიგებისა, მოვალენი არიან აგრეთვე გადიხადონ დაწესებული გადასახადი: თუ ცხენი შეძენილია წლის პირველ ნახევარში, მთელის წლის გადასახადი და თუ წლის მეორე ნახევარშია შეძენილი, ნახევარი უნდა გადიხადოს წლის გადასახადისა. ამასთან გადასახადი უნდა შეტანილ იქმნას ან დანიშნულ ვადაზედ, თუ მის გასვლამდე ერთ თვეზე ნაკლები რჩება, ანუ წინააღმდეგ შემთხვევაში,—ერთის თვის განმავალობაში იმ დღიდგან, როცა ცხენი შეძენილ იქმნა (4 მუხლი 20 ოქტომბრის 1882 წ. კანონისა).

§ 5. ფულის მიღების ნიშნად საქალაქო გამგეობა (управа) მისცემს ცალკე კვიტანციას თვითეულ ცხენზე და ეს კვიტანცია შესაძლოა გადაცემულ იქმნას, ცხენთან ერთად, თუ ვინიცობაა ცხენი სხვის ხელში გადავიდა (5 მუხლი 20 ოქტომბრის 1882 წ. კანონისა).

§ 6. ვინც ცხენებს ინახავენ, მაგრამ მიღებული არა აქვთ სია გადასახადისა იმ წლის დამლევამდე, რომელიც წინ მიუძღვის იმ წელიწადს, რომლისათვისაც შეტანილ უნდა იქმნას გადასახადი, ანუ ვისაც ახლად შეუძენიათ ცხენები, მოვალენი არიან საქალაქო გამგეობას ყოველივე ეს აცნობონ; თუ არ აცნობეს, გამოერთმევათ მთელის იმ წლის გადასახადი, რომლის განმავალობაში ცხენები ჰყოლიათ, და ამ შემთხვევაში არავითარი ახალი ვადა არ მიეცემათ შეტანისათვის კუთვნილ გადასახადისა, რომელსაც ზედ დაემატება დაწესებული ჯარიმაც (2 მუხლი 20 ოქტომბრის 1882 წ. კანონისა).

§ 7. ბირჟისა და საპალნის იზვოშჩიკები მოვალენი არიან მუდამ იქონიონ თან საქალაქო გამგეობის კვიტანციები იმდენის ცხენისა, რამდენიც უზიათ იმის ნიშნად, რომ მათ მიერ გადასახადი გადახდილია, და პირველ მოთხოვნისთანავე უნდა წარუდგინონ საქალაქო საზოგადოებურ გამგეობის აგენტებსა და პოლიციის მოხელეებსა (20 ოქტომბრის 1882 წ. კანონის 2 მუხლის ძალით).

§ 8 ქალაქის საზოგადოებურ გამგეობის აგენტებს, თანასწორ პოლიციის მოხელეებისა, ნება ეძლევათ თავისუფლად შევიდნენ ყოველს ეზოსა და შენობაში, სადაც-კი ცხენებს ინახვენ ცხენების დასათვლელად. როგორც ქალაქის საზოგადოებურ გამგეობის აგენტების, ისეც პოლიციის მოხელეების მიერ წარმოდგენილ ცნობებისაგან შეივსებიან და შესწორდებიან წიგნები ცხენების სიებისა, ან გამოშვებულნი ჩაიწერებიან, ან ახლად შეძენილნი, ან გამოირიცხებიან დაკლებულნი.

(3—3)

Доз. ценз. Тифлисъ 20-го Декабря, 1889 г. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи. пом. Т. Д. З. Банка на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.